ხელშეკრულება № 37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „18“ „იანვარი“ 2012 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით და **შპს „ფლაგ არტი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **რომან დარჩიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ თბილისის პროკურატურის ახალი ოფისისათვის დროშების შესყიდვა
დანართი №1-ის შესაბამისად (CPV-35821000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1250.00 (ერთი ათას ორასორმოცდაათი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება 2012 წლის 25 იანვრამდე ქალაქ თბილისის პროკურატურის ახალ ოფისში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) და შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს.

5.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომელიც ასევე დადასტურებული უნდა იყოს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების ან 5.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის **გოგა გუგავას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა,
ტელეფონი: 240-51-84,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ - 203845349

მიმწოდებელი:

შპს „ფლაგ არტი“,
წარმოდგენილი დირექტორის
რომან დარჩიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40,
ტელეფონი: 276-15-12,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE72BG0000000894356101,
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ - 206160018

დანართი №1

№	საქონლის დასახელება	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	საქართველოს სახელმწიფო დროშა	ზომა: 1მX1.50მ, ორმაგი	1 ცალი	145.00	145.00
2	ევროკავშირის დროშა	ზომა: 1მX1.50მ, ორმაგი	1 ცალი	170.00	170.00
3	ქ. თბილისის დროშა	ზომა: 1მX1.50მ, ორმაგი	1 ცალი	145.00	145.00
4	საქართველოს სახელმწიფო დროშა	ზომა: 1.50მX2.20მ	1 ცალი	155.00	155.00
5	ევროკავშირის დროშა	ზომა: 1.50მX2.20მ	1 ცალი	185.00	185.00
6	სადგამი (ქრომირებული)	h-2.30	3 ცალი	150.00	450.00
				სულ:	1250.00 ლარი, დღგ-ს ჩათვლით

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის **გოგა გუგავას** სახით,

მიმწოდებელი:

შპს „ფლაგ არტი“,
წარმოდგენილი დირექტორის
რომან დარჩიაშვილის სახით,

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2012 წლის „18" „დეკემბერი"

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის პროკურატურის ახალი ოფისისათვის დროშების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შპს „ფლაგ არტთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ გოგა გუგავა